ხელშეკრულება №1

ქ. ახალქალაქი 3 იანვარი 2024 წ

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის: შპს "მაგთიკომი" წარმოდგენილი ქ ახალქალაქის # 17 ოფისის მენეჯერის პაატა მღებრიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილის 06.02.2019 N19/02/06-002 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომში - მიმწოდებელი, ერთის მხრივ და ახალქალაქის სამუსიკო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის, სვეტლანა კაროიანის სახით მეორეს მხრივ თანხმდებიან შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 720 ლარის გადახდის ბარათ(ებ)ის შესყიდვა, რომელიც არის მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურებ(ებ)ის საფასურის გადახდების განხორციელების საშუალება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნომინალის, სერიული ნომრის და საიდუმლო კოდის შესახებ - (შემდგომში მონო ბარათი);

1.2 მონო ბარათების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2 მხარეთა ვალდებულებები

2.1 შემსყიდველი ვალდებულია თანხის გადარიხვისას მიაწოდოს მიმწოდებელს ინფორმაცია მონო ბარათების რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია თანხის ჩარიცხვის და შემსყიდველისაგან 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემდგომ, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადასცეს შემსყიდველს შეძენილი მონო ბარათები.

2.3 მონო ბარათების გადაცემის ადგილია მიმწოდებლის ოფისები, რომელთა მისამართები მითითებულია მიმწოდებლის ვებ-გვერდზე www.magticom.ge. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ოფისს არ წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში ან სხვა ობიექტებში განთავსებული მიმწოდებლის გაყიდვის წერტილები.

3 ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.